SMART CAPITAL GROUP

სმარტ კაპიტალ ჯგუფის
კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) 2023 წლის ანგარიში

შესავალი

„სმარტ კაპიტალ ჯგუფისთვის“, როგორც განვითარებაზე ორიენტირებული კომპანიისთვის, სოციალური პასუხისმგებლობა მნიშვნელოვანი მიმართულებაა.

საინვესტიციო ჯგუფი წლებია, აქტიურად ახორციელებს სოციალურ პროექტებს საზოგადოების, თანამშრომლების, კულტურის მხარდასაჭერად და ამ ნიშის კიდევ უფრო გაფართოებასა და განვითარებას გეგმავს.

„წლებია, „სმარტ კაპიტალ ჯგუფი“ ინარჩუნებს ძლიერი და სტაბილური კომპანიის სახელსა და რეგიონის ერთ-ერთი უმსხვილესი დამსაქმებლის სტატუსს. გვიხარია, რომ ჩვენი ჯგუფი თავის დივერსიფიცირებულ პორტფელს ყოველდღიურად აფართოებს და სათავეში უდგას ახალ პროექტებს, რომლებიც კიდევ უფრო აძლიერებენ ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას. კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე, მაქსიმალურად გავააქტიურეთ ჩვენი სოციალური პასუხისმგებლობის პლატფორმა და გამოვყავით რამდენიმე ძირითადი მიმართულება, კერძოდ: თანამშრომელთა კეთილდღეობა, გარემოზე ზრუნვა და საზოგადოების მხარდაჭერა. მომდევნო წლების სამოქმედო გეგმაც სწორედ ამ ღირებულებების გარშემო გაერთიანდა.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით კომპანიაში ბევრი სასიკეთო ცვლილება დავნერგეთ. დავიწყეთ თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად, ჩავატარეთ არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება კულტურის პოპულარიზაციისათვის და ახალგაზრდა თაობაში განათლების წასახალისებლად. ამას გარდა, აქტიურად ვართ ჩართული როგორც ინკლუზიისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციის, ისე ქალთა გაძლიერებისა და გენდერული თანასწორობის პროექტებში. წელს „სმარტ კაპიტალ ჯგუფი“ გაეროს ქალთა გაძლიერების პრინციპების (WEPS) ხელმომწერი გახდა, რითაც საინვესტიციო ჯგუფი, მასში შემავალ კომპანიებთან ერთად, გამოთქვამს კეთილ ნებას, მხარი დაუჭიროს და განახორციელოს სხვადასხვა ინიციატივა ქალების გაძლიერებისა და გენდერული თანასწორობის მიმართულებით“.

- ნანა გოთუა,
“სმარტ კაპიტალ ჯგუფის” სოციალური პასუხისმგებლობის ხელმძღვანელი

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის(CSR) წვლილი მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად

„ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“ არის გაეროს წევრი ქვეყნების მიერ 2015 წელს მიღებული რეზოლუცია. დოკუმენტის თანახმად, განსაზღვრულია 17 გლობალური მიზანი გრძელვადიანი და მდგრადი ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი შედეგების მისაღწევად. მათ შორისაა სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა, ჯანდაცვისა და განათლების სისტემების გაუმჯობესება, თანასწორობის ხელშეწყობა, კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ ბრძოლა, ქალაქების მდგრადობა და სხვ. „სმარტ კაპიტალ ჯგუფის“ კორპორაციული

პასუხისმგებლობის ანგარიში შემუშავებულია სხვადასხვა საერთაშორისო სტანდარტისა და პრინციპის საფუძველზე, მათ შორის, ზემოხსენებული რეზოლუციით განსაზღვრული მდგრადი განვითარების მიზნების გათვალისწინებით.

კომპანიის შესახებ

„სმარტ კაპიტალ ჯგუფის“ წარმატების ისტორია რამდენიმე ათეული წლის წინ საინვესტიციო პროექტების განხორციელებით დაიწყო. მოგვიანებით კომპანიამ მიმართულებები გააფართოვა და განსხვავებული პროფილის ორგანიზაციებიც მოიცვა როგორც ქართულ, ასევე ბრიტანულ და სხვა საერთაშორისო ბაზრებზე. წლების განმავლობაში ჯგუფმა ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, ასობით ახალი სამუშაო ადგილი შექმნა, საკუთარი საინვესტიციო აქტივებით კი აითვისა შემდეგი ბიზნესმიმართულებები: სტუმარმასპინძლობა, მეღვინეობა, საცალო ვაჭრობა, წარმოება, ენერგეტიკა, ნავთობპროდუქტები, უძრავი ქონება, ტექნოლოგიები, ლოჯისტიკა და სხვ. ამას გარდა, სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, საინვესტიციო ჯგუფში შეიქმნა ორი საქველმოქმედო ფონდი: „ქართული გალობა“ _ ქართული კულტურისა და ფოლკლორის მხარდასაჭერად და „აი ია“ _ სმენადაქვეითებული ბავშვების რეაბილიტაციის/აბილიტაციის ცენტრი განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების კეთილდღეობისთვის.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) მიმართულებები

„სმარტ კაპიტალ ჯგუფის“ საქმიანობიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყო კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის შემდეგი მიმართულებები:

- თანამშრომლებზე ზრუნვა;
- გარემოზე ზრუნვა;
- საზოგადოების მხარდაჭერა.



1. თანამშრომლებზე ზრუნვა

- გუნდის კეთილდღეობა თანამედროვე ბიზნესსტრატეგიის განუყოფელი ნაწილია. თანამშრომლების ფსიქოლოგიური და ფიზიკური ჯანმრთელობა, პიროვნული განვითარება დიდ გავლენას ახდენენ კომპანიის წარმატებაზე. შესაბამისად, საინვესტიციო კომპანია „სმარტ კაპიტალ ჯგუფისთვის“ გუნდის კეთილდღეობა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

  კომპანიაში ყურადღება ეთმობა თანამშრომლის ინტერესებს, ჯანმრთელობას, ემოციურ მდგომარეობას, უსაფრთხოებას, კმაყოფილების დონეს და სხვა ფაქტორებს.

  ” ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ თანამშრომელი გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. სწორედ ამიტომ არ ვზოგავთ რესურსს, გავაძლიეროთ გუნდი, შევქმნათ ჯანსაღი სამუშაო გარემო, ვიზრუნოთ კომპანიაში დასაქმებულთა ფიზიკურ და ემოციურ მდგომარეობაზე. ამაზე კარგად მეტყველებს ჩვენთან დანერგილი პროექტები, რომლებიც წლების განმავლობაში ძალიან განვითარდა. მჯერა, გუნდის კეთილდღეობაზე ორიენტაციით საერთო მიზნისკენ კიდევ უფრო სწრაფად და ეფექტიანად ვივლით ”

  - **ნათია ჩხარტიშვილი,**
    “სმარტ კაპიტალ ჯგუფის” ერთ-ერთი დამფუძნებელი

სმარტ საუბრები (Smart Talks)

გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, კომპანიაში ერთ წელზე მეტია, დაინერგა შეხვედრების სერია „სმარტ საუბრები“ (Smart Talks). ამ პროექტის მიზანია, თანამშრომლებსა და მათ ემოციურ ბალანსზე, პიროვნულ განვითარებაზე ზრუნვა და სხვადასხვა თემასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება. შეხვედრები თვეში ერთხელ კომპანიის კუთვნილ შენობაში ტარდება. მოწვეული სტუმრები, ცნობილი და საზოგადოებისთვის საინტერესო სახეები მნიშვნელოვან თემებს „სმარტ კაპიტალის“ თანამშრომლებს უზიარებენ. ერთი წლის განმავლობაში კომპანიის გუნდს ჰქონდა საშუალება, შეხვედროდა ანდრო დგებუაძეს, დათო ტურაშვილს, ნატა მეფარიშვილს, თიკა რუხაძეს, ნინო მარგველაშვილს, თათია ტურაშვილს და მათთან ერთად ემსჯელა აქტუალურ თემებზე, მათ შორის, გუნდურობის, სტრესის მართვის, დროის მენეჯმენტის, მართებული კომუნიკაციის ხელოვნების, ემოციური ინტელექტის შესახებ.
„სმარტ კაპიტალ ჯგუფისთვის“ კორპორაციული მდგრადობა მნიშვნელოვანი ღირებულებაა. ამიტომ სამომავლოდ დაგეგმილია ისეთი თემების განხილვაც, რომლებიც კომპანიის მდგრადი განვითარებისა და სოციალური პასუხისმგებლობის პრიორიტეტულ მიმართულებებს შეესაბამება. ესენია: გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა, გენდერული თანასწორობა, ადამიანის უფლებები და ანტიდისკრიმინაცია, უსაფრთხოება და სხვ. ამ თემებზე მსჯელობით „სმარტ კაპიტალ ჯგუფის“ თანამშრომლები შეძლებენ, უფრო კარგად გაითავისონ და გაიზიარონ ის ღირებულებები, რომლებიც კომპანიისთვის უმნიშვნელოვანესია და გახდნენ სოციალური პასუხისმგებლობის კეთილი ელჩები.

სმარტ ფიტი (Smart Fit)

კომპანიების წარმატებისა და ნაყოფიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზომი სწორედ თანამშრომლების ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობაა. 2023 წელს „სმარტ კაპიტალ ჯგუფში“ დაინერგა ახალი მიმართულება. „სმარტ ფიტი“ (Smart Fit) სავარჯიშო პროგრამაა, რომელიც საგანგებოდ კომპანიის თანამშრომლებისთვის მოწვეულმა მწვრთნელმა ვიკა კიკაბიძემ შეიმუშავა.

პროექტის ფარგლებში, კომპანიის შენობის პირველ სართულზე მდებარე სპორტული დარბაზი საჭირო ინვენტარით აღიჭურვა, მოეწყო გასახდელები. აქ „სმარტ კაპიტალის“ გუნდის 15-ამდე წევრი პროფესიონალი მწვრთნელის დახმარებით ფიზიკურ ჯანმრთელობას უთმობს დროს. აქტივობა თანამშრომლებისთვის სრულიად უფასოა.

2. გარემოზე ზრუნვა

- „სმარტ კაპიტალ ჯგუფი“ გავლენას ახდენს გარემოზე. ეს გულისხმობს კომპანიის მიერ ბუნებრივი რესურსების გამოყენებას, ენერგიის მოხმარებას, ნარჩენების წარმოქმნას, პროდუქციისა და სერვისების ზეგავლენას გარემოზე. აქედან გამომდინარე, გარემოს დაცვა საინვესტიციო ჯგუფის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგიის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა.
- „სმარტ კაპიტალ ჯგუფი“ ცდილობს, შეამციროს გარემოზე უარყოფითი ზეგავლენა შემდეგი მიმართულებების გათვალისწინებით:

- **გარემოს დაბინძურების პრევენცია და შემცირება;**
- **რესურსების მდგრადი გამოყენება;**
- **ენერგოეფექტურობა.**

მწვანე ოფისი

- XXI საუკუნის მთავარი გამოწვევა გარემოზე ზრუნვაა. ნარჩენების მართვა, ენერგიისა და ბუნებრივი რესურსების დაზოგვა ოფისიდანვე შესაძლებელია, რაც სათბურის აირების გამოყოფას საკმაოდ ამცირებს და ხელს უწყობს ცირკულარული ეკონომიკის განვითარებას. სწორედ ამიტომ „სმარტ კაპიტალ ჯგუფის“ სათავო ოფისში შემდეგი სიახლეები დაინერგა:
- განთავსდა პლასტმასის ნარჩენების შესაგროვებელი ყუთი. შეგროვებული ნარჩენები იგზავნება საწარმოში, სადაც გადამუშავებული პლასტმასისგან ახალი პროდუქტები მიიღება. ეს კი ცირკულარული ეკონომიკის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია (წლის განმავლობაში გროვდება 18 000-ამდე პლასტმასის ბოთლი);
- წყლისა და ენერგიის დაზოგვის და ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლების მიზნით, ოფისის ტერიტორიაზე სახალისო პოსტერები განთავსდა;
- მეორეული, გადამუშავებული ქაღალდის გამოყენება, რომლის შექმნის დროსაც სუფთა ბოჭკოვან ქაღალდთან შედარებით იზოგება 70% წყალი და 60% ენერგია; არ ემატება მავნე ქიმიკატები, ქიმიური ნაერთები ან ოპტიკური გამაღიავებლები;
- პროექტ „მაკულიტერატურასთან“ თანამშრომლობით გროვდება გამოყენებული ქაღალდები, შემდგომი გამოყენების მიზნით. ქაღალდის გადამუშავებით წლის განმავლობაში დაახლოებით 100-ამდე ხე გადაურჩება მოჭრას.

POTI FREE INDUSTRIAL ZONE

გარემოს დაცვის, უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის პროცედურები ფოთის ინდუსტრიულ ზონაში

გარემოს დაბინძურება, მისი პრევენცია და გარემოსდაცვითი მდგომარეობის გაუმჯობესება თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა. „სმარტ კაპიტალ ჯგუფის“ წევრი ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა (თიზი) თავისი საქმიანობის პროცესში, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე, მაქსიმალურად ითვალისწინებს და იცავს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ყველა სტანდარტს.

რეგიონში გარემოზე სხვადასხვა ზეგავლენიდან გამომდინარე, ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში შექმნილია გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პოლიტიკა, რომლის შესრულებაც ერთგვარი წინაპირობაა ფოთის თიზში გაწევრიანებისას. კომპანიაში აქტიურად და მუდმივად მიმდინარეობს გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების პროცესების მონიტორინგი.



„ეშვი კიდსი“ და ნარჩენების მართვა

„ეშვი კიდსი“ „სმარტ კაპიტალ ჯგუფში" შემავალი საბავშვო ტანსაცმლის ბრენდია, რომელიც მომხმარებელს საკმაოდ გამორჩეული და დახვეწილი დიზაინით ამახსოვრებს თავს; რაც მთავარია, იყენებს სრულიად ბუნებრივ და ეკომეგობრულ ქსოვილებს. „ეშვი კიდსისთვის“ მნიშვნელოვანია საწარმოო მასალების პასუხისმგებლობით მოხმარება და მართვა.

სამი წლის წინ „ეშვი კიდსი“ და ქართული ხელნაკეთი სათამაშოების კომპანია „ჩიკატაი“ ნარჩენების შემცირების მიზნით დამეგობრდნენ. შეთანხმების ფარგლებში, საბავშვო ტანსაცმლის ბრენდის მიერ GOTS-ის სერტიფიცირებული ქსოვილების ნარჩენები მუდმივად გადაეცემა „ჩიკატაის“, რომელიც ასეთი ფორმით ზრუნავს გარემოზე მავნე ზეგავლენის შესამცირებლად.

სწორედ ამ მასალისგან იქმნება „ჩიკატაის“ ცნობილი მუსიკალური საკიდები, რომლებშიც ქართველი კომპოზიტორის, გია ყანჩელის, ყველასთვის საყვარელი მელოდია ჟღერს.

SHILDA
WINERY

ენერგოეფექტურობა „მეღვინეობა შილდაში“

ენერგიის მართვა და ეფექტიანობა არის კომპანიის ნაყოფიერების, ხარისხისა და ფასეულობების ჩამოყალიბებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება. მდგრადი მევენახეობა აუმჯობესებს ღვინის ხარისხს და მართებულად, დადებითი კუთხით წარმოაჩენს ქვეყანას გლობალური ბაზრის რუკაზე.

„სმარტ კაპიტალ ჯგუფში“ შემავალი კომპანია „მეღვინეობა შილდა“ კლიმატის გლობალურ გამოწვევებს ჯეროვნად ხვდება. უკვე მეოთხე წელია, „მეღვინეობა შილდა“ იტალიური და ფრანგული დანადგარებით აღჭურვილი ენერგოეფექტური საწარმოს მეშვეობით წელიწადში 25 სახეობის დაახლოებით 1,4 მილიონ ბოთლ ღვინოს აწარმოებს. „მეღვინეობა შილდამ“ ენერგოეფექტური ტექნოლოგიებით ღვინის წარმოება ევროკავშირის მხარდაჭერით, ენერგოკრედიტის ფარგლებში, 2019 წელს დაიწყო. კომპანიამ ენერგოეფექტური ტექნოლოგიებით აღჭურვის შედეგად ერთეულ წარმოებულ პროდუქციაზე ელექტროენერგიის მოხმარება 50-60%-ით შეამცირა. შედეგად კი საწარმოში წელიწადში 63 000 ევრო იზოგება. დანადგარების გარდა, „მეღვინეობა შილდაში“ განათებაც ენერგოეფექტურია: კომპანიაში ვარვარების ნათურები უკვე დიდი ხანია, ჩანაცვლდა „ლედ“ ტიპის სანათებით.

გარემოზე ზრუნვა თვალსაჩინოა საწარმოს რესტორანსა და ეზოშიც. სახასიათო დიზაინი, ხის და სხვა მასალის ნარჩენებისგან დამზადებული მეორეული ავეჯი თუ დეკორაცია ასახავს სწორედ იმ ღირებულებებს, რომელთაც მდგრადი განვითარება, ნარჩენების მართვა და, ზოგადად, გარემოზე ზრუნვა გულისხმობს.

3. საზოგადოების მხარდაჭერა

„სმარტ კაპიტალ ჯგუფისთვის“ საზოგადოების მხარდაჭერა ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა .

იქიდან გამომდინარე, რომ საინვესტიციო ჯგუფი თავისი გაზრდილი ბიზნესპორტფელით ზეგავლენას ახდენს სხვადასხვა სფეროზე, გამოიყო შემდეგი ქვემიმართულებები:

- **ახალგაზრდების განათლებასა და განვითარებაზე ზრუნვა;**
- **კულტურის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია;**
- **ქალთა გაძლიერება;**
- **ინკლუზია.**

– ახალგაზრდების განათლებასა და განვითარებაზე ზრუნვა

„სმარტ კაპიტალ ჯგუფისთვის“ მნიშვნელოვანია იმ მიზნობრივ აუდიტორიასთან კომუნიკაცია, რომელშიც თავის წევრ კომპანიებთან ერთად ოპერირებს. იქიდან გამომდინარე, რომ ჯგუფში შემავალი კომპანიებისა და ფონდების ნაწილი საგანმანათლებლო თემას ფარავს, ის პასუხისმგებელია, იზრუნოს მასთან მეტ-ნაკლებად დაკავშირებულ და დაინტერესებულ მხარეებზე.

ამ მიზნით, „სმარტ კაპიტალ ჯგუფი“ წლის განმავლობაში სათავეში უდგას განსხვავებულ ინიციატივებს, რომლებიც დაინტერესებული მხარეებისა და, ზოგადად, სფეროს განვითარებისკენ არის მიმართული.

რაგბის სკოლა „ძმების“ ცნობიერების ასამაღლებელი შეხვედრების სერია „ძმები“ მდგრადობისთვის“

რაგბის სკოლა „ძმები“ „სმარტ კაპიტალ ჯგუფის“ პატრონაჟით შეიქმნა. კომპანიის მხარდაჭერითა და რაგბის სკოლის დამფუძნებლის, ვახტანგ მძინარიშვილის ინიციატივით, „ძმები“ არამხოლოდ ბავშვების ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობას, არამედ პატარა მორაგბეების პასუხისმგებლობიან მოქალაქეებად ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად.

სწორედ ამიტომ „სმარტ კაპიტალ ჯგუფისა“ და რაგბის სკოლის ინიციატივით, საფუძველი ჩაეყარა შემეცნებითი შეხვედრების სერიას, რომლის ფარგლებშიც, ბავშვები მთელი წლის განმავლობაში საინტერესო და საჭირო თემების შესახებ ისაუბრებენ მოწვეულ სტუმრებთან ერთად. ინიციატივა მიზნად ისახავს ბავშვებისთვის მდგრადი განვითარების ამოცანების გაცნობას და ამ მიმართულებით მათი ცნობიერების ამაღლებას. საწყის ეტაპზე უკვე ჩატარდა ორი შემეცნებითი შეხვედრა გარემოს დაცვისა და გენდერული თანასწორობის თაობაზე. სულ დაგეგმილია ექვსი შეხვედრის ჩატარება ისეთ თემებზე, როგორებიცაა: ინკლუზია, საგზაო უსაფრთხოება, ბავშვების უფლებები, ცხოველების დაცვა და სხვ.

— კულტურის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

„სმარტ კაპიტალ ჯგუფის“ სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით შექმნილი ფონდი „ქართული გალობა“ მრავალი საინტერესო და მნიშვნელოვანი პროექტის ინიციატორია. ფონდის ძირითადი საქმიანობაა ქართული გალობა-სიმღერის კვლევა, მგალობლების აღზრდა, ქართული კულტურის ამ უძველესი მიმართულების თანამედროვე მეთოდებით გაციფრულება და მისი მომავალი თაობისთვის შენარჩუნება.

„თორაძის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი“

„სმარტ კაპიტალ ჯგუფის“ ფონდ „ქართული გალობის“ თანადგომით, 2023 წელს პირველად ჩატარდა „თორაძის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი“, რომელიც მიზნად ისახავს ქართული მუსიკისა და კულტურის პოპულარიზაციას, ახალგაზრდა, ნიჭიერი მუსიკოსების გამოვლენასა და მხარდაჭერას. ფესტივალის ფარგლებში სცენაზე წარდგნენ ახალგაზრდა შემსრულებლები, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში კი სტუდენტებისთვის ცნობილმა მუსიკოსებმა მასტერკლასები ჩაატარეს. შედეგად, ფესტივალმა სტიპენდიატი სტუდენტები გამოავლინა, ერთ-ერთმა მონაწილემ კი ცნობილი საერთაშორისო უნივერსიტეტისგან სამომავლო თანამშრომლობის შეთავაზება მიიღო.

გარაყანიძეების სტიპენდია

„სმარტ კაპიტალ ჯგუფისთვის“ ქართული ტრადიციული მუსიკის პოპულარიზაცია და მისი შესწავლით დაინტერესებული ახალგაზრდა თაობის პროფესიული წახალისება მნიშვნელოვანი ღირებულებაა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ქართული ტრადიციული მუსიკის აღიარებული მკვლევრებისა და შემსრულებლების, ედიშერ და გიორგი (გიგი) გარაყანიძეების სახელობის ყოველწლიური სტიპენდია, რომელიც 2016 წლიდან „სმარტ კაპიტალ ჯგუფის“ საქველმოქმედო ფონდ „ქართული გალობის“ მხარდაჭერით აჯილდოებს ქართული ტრადიციული მუსიკის გამორჩეულ მკვლევარ სტუდენტებს.
სტიპენდია 2023 წელს მეცხრედ გაიცა და მისი მფლობელები გახდნენ: ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დოქტორანტი, მონაზონი ნინო (სამხარაძე); ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი ელენე ბერაია და გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სტუდენტი ანა ფეიქრიშვილი.

ნოდარ დუმბაძის სახელობის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი გურიაში

„სმარტ კაპიტალ ჯგუფი“ ნოდარ დუმბაძის სახელობის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალს არაერთი წელია უჭერს მხარს. 2023 წელს ფესტივალი მთელი კვირის განმავლობაში ოზურგეთის დრამატულ თეატრში მასპინძლობდა სტუმრებს როგორც საქართველოდან, ასევე უცხოეთიდან. ფესტივალის ნომინაციებში წარმოდგენილი იყო რამდენიმე სპექტაკლი. საბოლოოდ, გაიმარჯვა „თავისუფალი თეატრის“ მიერ წარმოდგენილმა სპექტაკლმა.

ნოდარ დუმბაძის საიუბილეო წიგნების გამოცემა

„სმარტ კაპიტალ ჯგუფის“ ფონდებმა „აი ია“ და „ქართული გალობა“ ნოდარ დუმბაძის 95 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოცემული წიგნების პრეზენტაციას უმასპინძლეს. ცნობილი მწერლის ლექსების კრებული და რომანი „მე ვხედავ მზეს“ ნოდარ დუმბაძის სახელობის საერთაშორისო ფონდის ინიციატივითა და „სმარტ კაპიტალ ჯგუფის“ ფონდების მხარდაჭერით დაიბეჭდა. ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციის გარდა, პროექტს ინკლუზიის მიმართულებითაც მნიშვნელოვანი როლი აქვს. რომანი „მე ვხედავ მზეს“ საქართველოს უსინათლოთა კავშირის აქტიური ჩართულობით, უსინათლო მკითხველისთვის განკუთვნილი ე.წ. ბრაილის შრიფტით გამოიცა. ასეთი ინკლუზიური პროდუქტის შექმნა მიზნად ისახავს სუსტად მხედველი და უსინათლო ადამიანების განათლების წახალისებას, ადაპტირებული გარემოს შექმნის ხელშეწყობასა და საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის ხარისხის გაზრდას. აღნიშნული უნიკალური გამოცემები საქართველოს უსინათლოთა კავშირს საჩუქრად გადაეცემა.

ქართული გალობის შესწავლა მსჯავრდებულებისთვის

ფონდ „ქართული გალობის“ მხარდაჭერით, №15 და №17 პენიტენციურ დაწესებულებებში მსჯავრდადებულები ესწრებიან გალობისა და ქართული ხალხური სიმღერის გაკვეთილებს როგორც თერაპიული, ისე სამომავლოდ პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით. ამ ეტაპისთვის პროექტში ჩართულია 20-ამდე მსჯავრდადებული.

გამოცემები და სხვა მხარდაჭერილი აქტივობები

- გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის მხარდაჭერა და გაძლიერება;
- ქართველი მომღერლისა და ლოტბარის, რობერტ გოგოლაშვილის, „ქართული ხალხური სიმღერების კრებული“;
- დიმიტრი არაყიშვილის ოპერის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ კლავირისა და სამეცნიერო ნაშრომების კრებულის გამოცემა;
- გიორგი გარაყანიძის „ეთნომუსიკის თეატრი და მისი საწყისები“;
- ანსამბლ „შილდას“ მეორე აუდიოალბომი;
- The Georgian Six-ის მიერ შესრულებული ინოლა გურგულიას აუდიოალბომი;
- იოსებ კეჭაყმაძის სრული საკომპოზიტორო შემოქმედების სერიული გამოცემა;
- გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის სტუდენტური ექსპედიციის მხარდაჭერის კონკურსი;
- გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო ვებინარის „ქრისტიანული თეოლოგიისა და მუსიკოლოგიის საკითხები“ მხარდაჭერა;
- საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების VII ეროვნული კონკურსის მხარდაჭერა.

– ინკლუზია

ინკლუზია გულისხმობს შეზღუდული უნარის მქონე ბავშვებისთვის განათლების სრულ ხელმისაწვდომობას. ისინი თანატოლებთან ერთად უნდა იღებდნენ განათლებას, მიუხედავად იმისა, აკმაყოფილებენ თუ არა ტრადიციულ სასწავლო სტანდარტს. ხშირად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს არ მიუწვდებათ ხელი სოციალურ დახმარებასა და სხვადასხვა მომსახურებაზე. ამას ისიც ემატება, რომ ასეთი ბავშვების მიმართ საქართველოში ჯერ კიდევ არსებობს უარყოფითი დამოკიდებულება.

„სმარტ კაპიტალ ჯგუფისთვის“ თანაბარი შესაძლებლობები და ინკლუზია უპირობოდ მნიშვნელოვანია. კომპანია განსხვავებული საჭიროების მქონე ადამიანების, კერძოდ, სმენადაქვეითებული ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციას უწყობს ხელს.

ფონდი „აი ია“ განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისთვის

სმენადაქვეითებულ ბავშვთა რეაბილიტაციის/აბილიტაციის ცენტრი და საქველმოქმედო ფონდი „აი ია“ 2016 წელს კომპანია „სმარტ კაპიტალ ჯგუფის“ სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში შეიქმნა. „აი ია“ ერთადერთი უფასო სარეაბილიტაციო ცენტრია, რომელიც ზრუნავს სმენადაქვეითებული ბავშვების სარეაბილიტაციო პროცესზე კოხლეარული იმპლანტაციის შემდეგ. ბენეფიციარებისთვის კომპლექსური მომსახურება უფასოა, ხარჯებს სრულად ფარავს „სმარტ კაპიტალ ჯგუფი“. ფონდის მისიაა, სმენადაქვეითებული ბავშვების განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, სოციალურ ინტეგრაციაში დახმარება, საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობის გაზრდა და საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება.

2023 წლის აქტივობები:

- 35-ამდე ოჯახის მომსახურება;
- ცნობიერების ასამაღლებელი შეხვედრები 20-ამდე სტუდენტისთვის;
- ტრენინგები 20-ამდე მასწავლებლისთვის;
- 40+ კონსულტაცია ოჯახებთან და ბავშვთა ჯგუფური თერაპია;
- სამუშაო შეხვედრა 50-ამდე მშობელთან;
- 600-ზე მეტი თერაპიული საათი 30+ ოჯახისა და ბავშვისთვის;
- WHO-ს მიერ გამართულ ეროვნული პოლიტიკის დიალოგში მონაწილეობა, ყურისა და სმენის მოვლის გაუმჯობესების მიზნით;
- სმენის საერთაშორისო კვირეული;
- „ამერიკული ჰოსპიტალი თბილისის“ ბაზაზე მრგვალი მაგიდის ფორმატში გაიმართა შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც ველზე მომუშავე სპეციალისტები, ასევე მოწვეული ექსპერტები გერმანიიდან. მრგვალი მაგიდის ფორმატში განხილული იყო შემდეგი თემები: კოხლეარული იმპლანტაცია, დიაგნოსტირება და ინფრასტრუქტურა, სმენის დაქვეითების დროული გამოვლენის ხარჯთეფექტიანობა სახელმწიფოსთვის, სმენის სკრინინგი და სხვ.

„სმარტ კაპიტალ ჯგუფი“ ბავშვთა საერთაშორისო დღის მხარდამჭერია

„სმარტ კაპიტალ ჯგუფის“ მხარდაჭერით, ორგანიზაციაში „პირველი ნაბიჯი საქართველო“ განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისთვის ბავშვთა საერთაშორისო დღე აღინიშნა. დღის ცენტრის ბენეფიციარებისთვის გასართობი პროგრამა შედგა. ღონისძიების ყველაზე ტკბილ ნაწილზე კი „სმარტ კაპიტალ ჯგუფში“ შემავალმა საკონდიტრო „ლილი ვანილიმ“ იზრუნა და პატარები გაახარა თავისი საფირმო სადღესასწაულო ტორტითა და ნამცხვრებით. „სმარტ კაპიტალ ჯგუფის“ ტრადიციული საქველმოქმედო აუქციონი ყოველი წლის მიწურულს კომპანიის სათავო ოფისში „სმარტ კაპიტალ ჯგუფში“ შემავალ კომპანია „ეშვის“ ორგანიზებით ტარდება. აუქციონზე თანამშრომლების მიერ გამოტანილი სხვადასხვა ნივთის შეძენაა შესაძლებელი. შეგროვებული თანხით კომპანია ყოველ წელს სოციალურად დაუცველ ოჯახებს ეხმარება.

“სმარტ კაპიტალ ჯგუფის” საქველმოქმედო აუქციონი

ყოველი წლის მიწურულს, „სმარტ კაპიტალ ჯგუფში“ შემავალი კომპანია „ეშვის“ ორგანიზებით ცენტრალურ ოფისში ტრადიციული საქველმოქმედო აუქციონი ტარდება, სადაც თანამშრომლების ჩართულობით მათ მიერ გამოტანილი სხვადასხვა ნივთების შეძენაა შესაძლებელი. აუქციონზე შეგროვებული თანხით კომპანია ყოველ წელს სოციალურად დაუცველ ოჯახებს ეხმარება.

2023